ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N23

2023 წლის 28 აპრილი

ქ. ქობულეთი

ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერზე თანხმობის მიცემისა და საწყისი წლიური საიჯარო საფასურის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 54-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ.დ" ქვეპუნქტისა და 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ე.ბ." ქვეპუნქტის შესაბამისად:

1.მიეცეს ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერს (ლ.ზოიძე) თანხმობა გადასცეს შპს ,,ოპტიმლაინი"-ს (ს/ნ 400320648) 2 (ორი) წლის ვადით ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მოძრავი ქონება, კერძოდ სოფელ ხუცუბანსა და სოფელ კვირიკეში მდებარე 120 (ასოცი) ერთეული გარე განათების ბოძებზე ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის გაყვანის თაობაზე, მოსახლეობისათვის ოპტიკურ-ბოჭკოვანი ინტერნეტისა და IP ტელევიზიის მიწოდების მიზნით;

2. ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მოძრავი ქონების, კერძოდ ერთი ერთეული ხაზოვანი ნაგებობის გარე განათების ბოძებზე ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის გათავსების რადიუსის (წერტილი) გამოყენებისათვის საწყისი წლიური საიჯარო საფასური განისაზღვროს 0,50 ლარის ოდენობით;

3.კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურის, სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ქონების მართვისა და აგრარულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (ლ.ხახუტაიშვილი);

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ.№30);

5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე — დ.მჭედლიშვილი